მატჩი ერევანში

ერევანი. “რაზდანის” სტადიონი. 5 ივნისი.

“არარატი” (ერევანი) – “დინამო” (თბილისი) 2:0 (1:0).

“არარატი”: კაზარიანი, გევორქიანი, სარქისიანი, მირზოიანი, მოვსესიანი, არუთინიანი, ბონდარენკო (მინასიანი), ოგანესიანი, ს. პეტროსიანი, ნ. პეტროსიანი, ა. ხაჩატრიანი (სალაიჯიანი).

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, ჩივაძე (შენგელია), მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (გ. მაჩაიძე), დარასელია, ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი: ვ. რუდენკო (მოსკოვი).

დუბლიორები: 1:0 “არარატის” სასარგებლოდ.

ამ მატჩის დროს იშვიათად თუ ვინმე შეგხვდებოდათ თბილისის ქუჩებში, ყველა ცისფერ ეკრანზე უყურებდა მატჩს. მაგრამ თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დინამოელთა ქომაგებმა საკუთარი გუნდი ვერ იცნეს. გახსოვთ 2–3 წლის წინანდელი მოდელის “დინამო”? წინასწარვე მარცხისთვის რომ იყო ხოლმე განწირული? მართალი გითხრათ, მაშინ “დინამოსაგან” ერევანში მატჩის მოგებას გადაჭარბებული ოპტიმიზმით შეპყრობილი კაცი თუ იწინასწარმეტყველებდა. ახლა? ახლა სხვა დრო დადგა. “დინამომ” წლევანდელ სეზონში თამაშის მაღალი კლასი, ორგანიზებულობის, დარაზმვის, ჩარხის წაღმა დატრიალების ნიმუში გვიჩვენა. ამდენად, დინამოელების ამ გასვლით მატჩში ქომაგებს სასურველი შედეგის თუ არა, კარგი თამაშის იმედი მაინც ჰქონდათ. სამწუხაროდ, თბილისელებმა შესაძლებლობათა მიქსიმუმი კი არა, მინიმუმიც ვერ გამოავლინეს: სუსტი იყო თავდასხმის რგოლი, ნახევარდაცვის ხაზი რომ არ გავაგრძელოთ, ამ დღეს “დინამოს” თამაშში ბევრი ხარვეზი იყო. ერთი სიტყვით, წლევანდელი სეზონის “დინამო” ამ მატჩში თავის თავს აღარ ჰგავდა, და ბუნებრივია, ვერც მისმა ქომაგებმა იცნეს იგი. “დინამოს” ვერც ის გაამართლებს, რომ იგი სტუმრად თამაშობდა, რომ არბიტრი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე არ იდგა… ასეა თუ ისე, თბილისის დინამოელებმა გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი მარცხი განიცადეს. ნუ ავყვებით მათ, ვინც პირველივე მარცხის მერე ტრაგიკულ სახეს მიიღებს ხოლმე და სასოწარკვეთას მიეცემა. მართალია, დიდ პოტენციურ შესაძლებლობათა გუნდის ასეთი ჩავარდნა სასიამოვნო არ არის, მაგრამ ყოველთვის საღი თვალით უნდა შევხედოთ, დასკვნები აუჩქარებლად გამოვიტანოთ. ამთავითვე ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მომავალში მსგავსი აღარ გამეორდეს.

დინამოელთა კარში გატანილი ორი უპასუხო გოლის ავტორები არიან ხაჩატრიანი და ოგანესიანი. პირველი გოლი გავიდა მე–20 წუთზე, მეორე – 11–მეტრიანი საჯარიმოდან – 66–ე წუთზე. მასპინძლებმა შესაშური თავდადებით იბრძოლეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს.

წლევანდელ სეზონში ეს იყო თბილისელთა პირველი დამარცხება.

გ. ირინაული.
“ლელო”, 7 ივნისი, 1977 წ.